

ინოვაციური აქტივობებისა და მეთოდების გამოყენება წიგნიერების განვითარებაში

ლელა მანგოშვილი
საერო სკოლა „ბინულის“
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (I-VI)

ანოტაცია

ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ კომპეტენციებში განსაკუთრებული ადგილი უკავია წიგნიერების განვითარებას, რომელიც არამარტო ტრადიციული კითხვის, წერის და ზეპირმეტყველების უნარების დაუფლებას, არამედ ცოდნის სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანას და გამოყენებას, ზეპირი კომუნიკაციის, წაკითხულის განხილვის, დისკუსიის, კრიტიკული აზროვნების და წარმოსახვის უნარების განვითარებას გულისხმობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე მასწავლებელმა სწორად და მიზანმიმართულად უნდა შეარჩიოს ინტერაქტიური სწავლების მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები. მოსწავლეზე ორიენტირებული ინოვაციური საგანმანათლებლო მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაღალი სააზროვნო უნარების: ანალიზისა და სინთეზის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების, შემოქმედებითობის განვითარებაში.

წიგნიერების მიმართულებით ინოვაციური მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება მრავალმხრივი პროცესია და მასწავლებლის მაღალ კომპეტენციებს მოითხოვს. ამიტომ უნდა გამოვიყენოთ კომპლექსური მეთოდები და საგანთაშორისი კავშირები, განვავითაროთ მოსწავლეებში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი. ეს უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, რომ მათ შეძლონ თვითრეალიზაცია, შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების განსაზღვრა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება.

საკვანძო სიტყვები: წიგნიერება, ინოვაციური, ინტერაქტიური

ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ კომპეტენციებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანის წიგნიერების განვითარება, რომელიც არამარტო ტრადიციული კითხვის, წერის და ზეპირმეტყველების უნარების დაუფლებას, არამედ ცოდნის სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანას და გამოყენებას, ზეპირი კომუნიკაციის, წაკითხულის განხილვის, დისკუსიის, კრიტიკული აზროვნების და წარმოსახვის უნარების განვითარებას გულისხმობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე მასწავლებელმა სწორად და მიზანმიმართულად უნდა შეარჩიოს ინტერაქტიური სწავლების მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები. მოსწავლეზე ორიენტირებული ინოვაციური საგანმანათლებლო მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაღალი სააზროვნო უნარების: ანალიზისა და სინთეზის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების, შემოქმედებითობის განვითარებაში. სწავლა-სწავლების

პროცესში განსაკუთრებით ეფექტურია არა მხოლოდ ფაქტებზე დაფუძნებული, არამედ ერთდროულად რამდენიმე უნარის განვითარებაზე ორიენტირებული მეთოდები.

ერთ-ერთი ასეთი კომპლექსური მეთოდია „დახატოთ-აღწეროთ-დავწეროთ“. მასში გაერთიანებულია სამი ეტაპი, რომელიც ხელს უწყობს ვიზუალური წიგნიერების, ტექსტის ანალიზისა და დეტალური აღწერის პროცესს. მოსწავლეებს ვთხოვთ, დახატონ რომელიმე ეპიზოდი შერჩეული ტექსტიდან. აქტივობის დასრულების შემდეგ ისინი კლასის წინაშე გამოფენენ და აღწერენ თავიანთ ნამუშევრებს, ყურადღებას ამახვილებენ მნიშვნელოვან დეტალებზე, არგუმენტირებულად ასაბუთებენ საკუთარ ნააზრევს. მესამე ეტაპზე წერილობით გადმოსცემენ რა დახატეს და რა აღწერეს ეტაპობრივად.

სწავლების დაწყებით საფეხურზე ყალიბდება **ფონოლოგიური უნარ-ჩვევები**: მარცვლებისგან სიტყვების, ხოლო სიტყვებისგან წინადადებების აწყობა და მათი გაგება-გააზრება. პროცესი სირთულეებთან არის დაკავშირებული, ამიტომ მასწავლებლები ხშირად მივმართავთ თამაშებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

გთავაზობთ თამაშს „**მხიარული ბანქო**“

დავყოთ კლასი ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს დავურიგოთ ბარათების („ბანქოს“) თითო დასტა (სასურველია, ბარათები სხვადასხვა ფერის იყოს), რომელზეც გამოსახულია მარცვლები. მათი საშუალებით ბავშვებმა უნდა შეადგინონ სიტყვები, დაწერონ ბარათებზე და შემდეგ შეადგინონ წინადადებები. ყველას სურს მიიღოს მონაწილეობა. ინტერაქტიული ჩართულობა იმდენად დიდია, ხშირ შემთხვევაში გაკვეთილი ხმაურიანი ხდება, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, რადგან თამაში ბავშვის მიერ რეალობის შემოქმედებითად ასახვის საუკეთესო ფორმაა. ამავე დროს იგი ანვითარებს დაკვირვებულობას, აზროვნებას და მეხსიერებას.

თამაში სახალისოა და მარტივი, მაგრამ მისაღწევი შედეგი მაღალი სააზროვნო უნარის - სინთეზის - მარცვლების სიტყვებად და სიტყვების-წინადადებებად გამთლიანების განვითარებას ემსახურება.

ლექსიკური მარაგის გამდიდრება წიგნიერების მიმართულების ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად განიხილება. სასწავლო სახელმძღვანელოებში მოცემული „სიტყვის სკივრის“ დახმარებით გარკვეულწილად ხერხდება მისი მოგვარება, მაგრამ არასაკმარისია.

ძალზე ეფექტურია მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეთა მიერ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონებისა და თვითნაკეთი წიგნების დამზადება, პერსონაჟებისთვის ბარათების მიწერა, ასევე ფერად ფურცლებზე დაწერილი **სიტყვების მუსიკალურ ზარდახში** მოთავსება, მუსიკის ფონზე მისი განმარტება და მოცემული სიტყვების გამოყენებით წინადადებების შედგენა.

ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონთ „**იღუმალი ყუთი**“. ლამაზად შეფუთულ ყუთში მოსწავლეებისგან ფარულად ვაწყობთ ნივთებს, რომლის ცნობა და დახასიათება მათ არ გაუჭირდებათ. მოსწავლეები რიგრიგობით იღებენ ნივთებს და ახასიათებენ. თავდაპირველად ისინი მარტივი ფრაზებით შემოიფარგლებიან, მაგრამ თანდათანობით მდიდრდება მათი ლექსიკური მარაგი, ვითარდება ზეპირმეტყველება,

არგუმენტირებული მსჯელობა, ლოგიკური აზროვნება და გარკვეული დროის შემდეგ მოსწავლეები ახერხებენ ამა თუ იმ ნივთის სრულყოფილად დახასიათებას.

სტატისტიკური კვლევები ადასტურებს, რომ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა წიგნიერების განვითარების თვალსაზრისით. როგორ შევაცვაროთ მოზარდებს კითხვა? ამ პრობლემის დასაძლევად საჭიროა მიზანმიმართულად შერჩეული აქტივობების განხორციელება.

ერთ-ერთი ასეთი აქტივობაა „ჩემი წიგნის 5 წუთი“. (კ.პაპავა). საკუთარი გემოვნებით შერჩეულ წიგნებს მოსწავლეები და მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე კითხულობენ 5 წუთის განმავლობაში. წიგნების მთლიანად წაკითხვის შემდეგ სასურველია მოეწყოს განხილვა, ჩანაწერების გაკეთება წიგნის ავტორის, პერსონაჟების და სხვა შენიშვნების გათვალისწინებით.

ბავშვებს ძალიან მოსწონთ აქტივობა „ლიტერატურულ კაფედ“ გარდასახული სასკოლო ბიბლიოთეკა, სადაც ისინი მუსიკის ჰანგების ფონზე მსმენელს სთავაზობენ საყვარელი წიგნების ანოტაციას და შთაგონებით კითხულობენ ეპიზოდებს. სასურველია, სიურპრიზად შევთავაზოთ გემოვნებით გაწყობილი, ჩვენი ხელით დამზადებული ფერადი ხელსახოცებით გაფორმებული ტკბილეული და ტრადიციული ჩაი. ასეთი კომპლექსური აქტივობა განაპირობებს წიგნისადმი ინტერესის გაღვივებას და მოსწავლეებში ეთიკის ნორმების ფორმირებას.

სწავლების ინოვაციურ მეთოდებს შორის განსაკუთრებით პოპულარულია **სამგანზომილებიანი მინიატურული მოდელის-დიორამის შექმნა**. იგი ხელს უწყობს ტექსტის გაგება-გააზრებას, შემოქმედებითი აზროვნების, პრეზენტაციისა და სოციალური უნარების განვითარებას. ამდღეს მოტივაციას, სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს. სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, სასურველია რამდენიმე დღით ადრე დავიწყოთ საჭირო მასალების მომარაგება. მოსწავლეებს ვუკითხავთ ტექსტს, ვსვამთ კითხვებს, ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს, ტექსტს ყოფენ ეპიზოდებად და ასათაურებენ. შემდეგ იწყება წყვილებში მუშაობა. განსაზღვრული დროის განმავლობაში თითოეული წყვილი დიორამის დახმარებით აცოცხლებს ერთ კონკრეტულ ეპიზოდს. ამისთვის მათ აქვთ აუცილებელი მასალა: მცირე ზომის მუყაოს ყუთი, ფერადი ფანქრები, პლასტელინი, ქსოვილები, ფერადი ფურცლები, წებო, ბუნებრივი მასალები და ა.შ. როდესაც მუშაობას დაასრულებენ, ეპიზოდების რიგითობის მიხედვით ხდება ტექსტის გამთლიანება და პრეზენტაცია.

სასწავლო პროცესს ახალისებს და საინტერესოს ხდის სიმულაციისა და „**როლური თამაშების**“ გამოყენება. მოსწავლეებს მოსწონთ, როცა პრობლემებს წყვეტენ და გადაწყვეტილებას იღებენ სიმულაციის გზით (სიმულაცია გულისხმობს რეალობის მსგავსი ხელოვნური სიტუაციის შექმნას), რადგან ამ დროს ხდება ინდივიდის პრობლემის ემოციურ დონეზე გათავისება, საკითხის ღრმა წვდომა და ხანგრძლივი დროით დამახსოვრება, თანაგანცდა, წარმოსახვის უნარის განვითარება, ინფორმაციის შეფასება და ორგანიზება, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარება. IV

კლასში ამ აქტივობის საუკეთესო მაგალითია ე.გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“ - სასამართლოს ეპიზოდი.

„როლური თამაშების“ დასრულების შემდეგ აუცილებლად უნდა მოხდეს ჩატარებული სამუშაოს შეჯამება-განხილვა. სასურველია წინასწარ შემუშავებული წესების დაცვით დისკუსიის გამართვა. დისკუსია ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია, რომელიც ტრადიციული მეთოდებით სწავლებისგან განსხვავებით, არგუმენტებზე და კონტრარგუმენტებზე დაყრდნობით სწორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. არსებობს დისკუსიის წარმართვის სხვადასხვა ფორმები: „მრგვალი მაგიდა“, „ფორუმი“, „პანელური დისკუსია“. ჩემს მოსწავლეებს განსაკუთრებით მოსწონთ „დებატები“. დისკუსიას აუცილებლად უნდა ახლდეს შეკითხვები: „რატომ?“, „როგორ?“, „თქვენი აზრით რა შეიძლება მომხდარიყო?“, „თქვენ როგორ ფიქრობთ?“ და ა.შ. ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებში ვითარდება პრობლემის გადაჭრის, მსჯელობის, კრიტიკული ანალიზის და სხვისი აზრის პატივისცემის უნარების განვითარება.

უამრავი ეფექტური სტრატეგია არსებობს, რომელიც ხელს უწყობს წიგნიერების დონის ამაღლებას: „პირამიდა“, „გაყინული ეპიზოდი ცოცხალი სურათები“, „თხრობა სხვადასხვა ინტერპრეტაციით“, „უცნობი ტექსტის კითხვა“ და სხვა.

წიგნიერების განვითარებაში ინოვაციური მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება მრავალმხრივი პროცესია და მასწავლებლის მაღალ კომპეტენციებს მოითხოვს. ნებისმიერმხარასწორად შერჩეულმა აქტივობამ, ან არაპროფესიონალურად გამოყენებულმა მეთოდმა შეიძლება გამოუსწორებელი დადი დაასვას მოსწავლეთა სრულფასოვან განვითარებას. ამიტომ უნდა გამოვიყენოთ კომპლექსური მეთოდები და საგანთაშორისი კავშირები, განვაავითაროთ მოსწავლეებში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი. ეს უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, რათა მათ შეძლონ თვითრეალიზაცია, შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების განსაზღვრა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. წიგნიერება - მასწავლებლის სახელმძღვანელო-პაატა პაპავა; თამარ ჭანტურია; [თბ. შპს „მწიგნობარი“] 2012 წელი
2. კითხვის ეფექტური მეთოდები -ნათია ნაცვლიშვილი; ზაქარია ქიტიაშვილი; [თბ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი] 2013 წელი
3. პედაგოგიკის საკითხები - მანანა ბოჭორიშვილი; თამარ მოსიაშვილი; [თბ. „უსტარი“] 2013 წელი
4. ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი - [თბ.სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი] 2012 წელი